# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

29 ივლისი. კვირა, 1990 წ.
№ 142 (10311) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## გუნდური გამარჯვება

**ლახტი.** სსრ კავშირის ნაკრებმა თანამედროვე ხუთჭიდში (ანატოლი სტაროსტინი, ედუარდ ზენოვკა და ვახტანგ იაგორაშვილი) ევროპის ჩემპიონი გახდა. მაგრამ ბრძოლა იმდენად მძაფრი და დაძაბული იყო, რომ მეორე ადგილზე გასულ იტალიის გუნდს მცირე უპირატესობით აჯობა (საბჭოთა ნაკრების შედეგია 16041, იტალიისა კი 16035). მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები პოლონელმა ხუთჭიდელებმა დაიმსახურეს.

პირად ჩათვლაში გამარჯვება იტალიელმა ჯანლუკა ტიბერტიმ მოიპოვა — 5441. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ანატოლი სტაროსტინი (5403) და ჩეხოსლოვაკიელი მილან კადლეცი (5402).

ტიბერტის ოქროს მედალი შეჯიბრების ბოლო სახეობაში — კონკურში წარმატებამ მოუტანა. მხოლოდ ამის წყალობით გადაუსწრო მან ყველა მეტოქეს, მათ შორის ედუარდ ზენოვკასაც, რომელიც 4 სახეობის შემდეგ ლიდერობდა ასპარეზობას. კონკურში სუსტმა გამოსვლამ ზენოვკას ექვსეულში გასვლის შანსი დაუკარგა.



**სურათზე:** ვ. იაგორაშვილი

### ინფორმაცია

**სტოკჰოლმი.** შვეციის დედაქალაქი მასპინძლობს მსოფლიოს საცხენოსნო თამაშებს. დასრულდა ცხენთგამოცდის ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავეს დასავლეთგერმანულმა მხედრებმა — სვენ როტენბერგმა (ცხენი იდეალი), მონიკა თეოდორესკუმ (ჰანიმედესი), ნიკოლ უპჰოფმა (რემბრანდტი). ეს დასავლეთგერმანელების ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა უმაღლესი რანგის ასპარეზობებში. მეორე ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის გუნდი, მესამეზე — შვეიცარიელები.

**პარიზი.** დაახლოებით 300 კმ პარიზიდან ბურჟემდე — ეს მანძილი 6 საათსა, 25 წუთსა და 7 წამში დაფარა ჰოლანდიელმა ველომრბოლმა ქალმა ინგრიდ ხარინდამ. მას ორი წამით ჩამორჩა ბელგიელი კრისტელ ვერკსი. მესამე ადგილიც ბელგიელმა — ჰეიდი ვანდევიიდენმა დაიკავა — 6:26.57.





## საქართველოს რეკორდი სიეტლში

**ისევ დავით გობეჯიშვილი და ისევ ბრიუს ბაუმგარტნერი**

**სიეტლი.** დამთავრდა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა ტურნირი. დაცარიელდა „ჰასკის" დიდებული სტადიონი, რომელზეც ხუთი დღის მანძილზე ბევრმა სახელოვანმა სპორტსმენმა უბადლო ოსტატობა გვიჩვენა.

მთავარი ფავორიტები, რა თქმა უნდა, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსნები იყვნენ და ყველაზე მეტი ჯილდო სწორედ მათ დაისაკუთრეს. შეჯიბრების მსვლელობაში მხოლოდ ერთი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა, მაგრამ ტურნირის მონაწილეებმა საკმაოდ ეფექტურად დალაშქრეს ეროვნული მიღწევები. რად ღირს მაგალითად ის ფაქტი, რომ საქართველოს რეკორდი 10.000 მეტრზე რბენაში სწორედ სიეტლში გაუმჯობესდა, თანაც, 5 წამით (ოლეგ სტრიჟაკოვი — 28.16,15). მართალია სტრიჟაკოვს კეთილი ნების თამაშებზე დიდად არ გამოუჩენია თავი — მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა 10 კილომეტრზე რბენაში — მაგრამ საბჭოთა სტაიერებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

მძლეოსანთა ტურნირის მედლების 43 კომპლექტი თვრამეტი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის განაწილდა.

მასპინძლებს წილად ხვდათ 51 ჯილდო, საბჭოთა დელეგაციას კი 47.

გთავაზობთ მძლეოსანთა ტურნირის საბოლოო შედეგებს მოპოვებული მედლების მიხედვით.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 20 | 16 | 15 |
| სსრ კავშირი | 14 | 16 | 17 |
| კუბა | 3 | 2 | 2 |
| იამაიკა | 1 | 1 | 2 |
| გდრ | 1 | — | 2 |
| კანადა | 1 | — | 1 |
| მექსიკა | 1 | — | — |
| მაროკო | 1 | — | — |
| პოლონეთი | 1 | — | — |
| ეთიოპია | — | 2 | — |
| ბრაზილია | — | 1 | 1 |
| კენია | — | 1 | 1 |
| რუმინეთი | — | 1 | — |
| ავსტრალია | — | 1 | — |
| ჩინეთი | — | 1 | — |
| ბაჰამის კუნძ. | — | 1 | — |
| ირლანდია | — | — | 1 |
| იაპონია | — | — | 1 |

დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდური შეჯიბრება. საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც გამოდის დავით გობეჯიშვილი, მონაწილეობს I ჯგუფში სამხრეთ კორეის, მონღოლეთისა და კანადის ათლეტებთან ერთად. მეორე ჯგუფში გამოდიან აშშ-ს, ბულგარეთის, იაპონიისა და თურქეთის გუნდები. გთავაზობთ ჯგუფური ტურნირის ტექნიკურ შედეგებს:

**პირველი ჯგუფი:** სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 32:7, სსრ კავშირი — მონღოლეთი 25:6, სსრ კავშირი — კანადა 31,5:6,5, კანადა — მონღოლეთი 23:14, სამხრეთ კორეა — მონღოლეთი 18:16, სამხრეთ-კორეა — კანადა 21:18.

**მეორე ჯგუფი:** აშშ — ბულგარეთი 20,5:13,5, აშშ — იაპონია 31,5:6,5, აშშ — თურქეთი 31:6, ბულგარეთი — იაპონია 27:12, ბულგარეთი — თურქეთი 23:16, თურქეთი — იაპონია 24:14.

თუ გამარჯვებისთვის გუნდებს ორ ქულას მივაკუთვნებთ, ფრედ დამთავრებული შეხვედრისთვის — ერთს, ხოლო დამარცხებისთვის 0 ქულას, ჯგუფური ტურნირების შედეგები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | |
| სსრ კავშირი | 3 | 0 | 0 | 6 |
| სამხრეთ კორეა | 2 | 0 | 1 | 4 |
| კანადა | 1 | 0 | 2 | 2 |
| მონღოლეთი | 0 | 0 | 3 | 0 |
| **II ჯგუფი** | | | | |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 6 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 4 |
| თურქეთი | 1 | 0 | 2 | 2 |
| იაპონია | 0 | 0 | 3 | 0 |

როგორც ხედავთ, მოჭიდავეთა შეჯიბრება განსხვავებული პრინციპით ტარდება. ოლიმპიური ტურნირი ან მსოფლიო ჩემპიონატი პირადი ასპარეზობებია და გუნდური ადგილები იქ ცალკეულ მოჭიდავეთა შედეგების გათვალისწინებით გამოჰყავთ. კეთილი ნების თამაშები კი გუნდური შეჯიბრებაა. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული კოლექტივები ნახევარფინალებში აგრძელებენ ბრძოლას მედლებისთვის.

საბჭოთა ნაკრებში ჯერჯერობით


იხ. მე.2 გვ.


### მედლები

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 41 | 40 | 24 |
| სსრკ | 32 | 31 | 30 |
| გდრ | 11 | 5 | 20 |
| კუბა | 3 | 2 | 2 |
| პოლონეთი | 3 | — | — |
| გფრ | 2 | 3 | 2 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 2 |
| დანია | 2 | — | — |
| ჩინეთი | 1 | 3 | 3 |
| იტალია | 1 | 2 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 4 |
| იამაიკა | 1 | 1 | 2 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 1 |
| კანადა | 1 | — | 2 |
| ჩსფრ | 1 | — | — |
| სურინამი | 1 | — | — |
| მექსიკა | 1 | — | — |
| მაროკო | 1 | — | — |
| ავსტრალია | — | 3 | 2 |
| რუმინეთი | — | 2 | 1 |
| ეთიოპია | — | 2 | — |
| ბრაზილია | — | 1 | 2 |
| კენია | — | 1 | 1 |
| იუგოსლავია | — | 1 | — |
| ბაჰამის კუნძ. | — | 1 | — |
| ინგლისი | — | — | 1 |
| ირლანდია | — | — | 1 |
| იაპონია | — | — | 1 |

## „უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის გამართვა მიზანშეწონილია"

**„ქართული ფეხბურთის"** ბოლო ნომერში დაიბეჭდა უკრაინის პროფკავშირითა სპორტსაზოგადოების ფეხბურთის სამმართველოს უფროსის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ვიქტორ ბანიკოვის წერილი. იგი აღნიშნავს: უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის გამართვა მიზანშეწონილია და იგი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების ყურადღების ცენტრშია, რასაც ვუჭერ მხარს. კარგა ხანია, ფეხბურთის მართვის უხეირო სტრუქტურა რადიკალურ შეცვლას მოითხოვს.

წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდები საკავშირო ფედერაციის მძიერ დაწოლას განიცდიან, რესპუბლიკების ფედერაციების როლი კი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ გაატარონ ცენტრის პოლიტიკა რესპუბლიკებში. მაგრამ საკავშირო ფედერაცია არათუ ითვალისწინებს რესპუბლიკის საფეხბურთო სპეციფიკასა და შესაძლებლობებს, არამედ მის საწინააღმდეგოდაც კი მოქმედებს.

როგორია რეაქცია საკავშირო ფედერაციისა იმაზე, რომ მის „უმცროს ძმებს" დამოუკიდებლობა სურთ? — მხოლოდ ასეთი: იმუქრება საერთაშორისო იზოლაციით, არ ითვალისწინებს რეალურ ვითარებას და არც კომპრომისზე მიდის. სინამდვილე კი გვარწმუნებს, რომ დეცენტრალიზაცია ყოველ სფეროში გარდაუვალია, მათ შორის — სპორტშიც.

რაც შეეხება უკრაინის ჩემპიონატს, მისი ჩატარება სავსებით რეალურია სამივე ლიგაში: უმაღლესში 16 გუნდი, პირველში — 18, მეორეში — 22. კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევს, რომ ჩემპიონატი ჩატარდეს სისტემით „შემოდგომა-გაზაფხული".

უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეას მხარს უჭერენ რესპუბლიკის ვეტერანი ფეხბურთელები.

— დარწმუნებული ვართ, — წერენ ისინი, რომ იგი გაზრდის ფეხბურთისადმი ინტერესს, ხელს შეუწყობს ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარებას, უკრაინის საკლუბო და ნაკრები გუნდების საერთაშორისო სარბიელზე გასვლას, აამაღლებს უკრაინის პრესტიჟს მთელს მსოფლიოში.

ყოველივე ამის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ახალ ფედერაციას, რომელშიც იმუშავებენ პატიოსანი, კვალიფიციური და ფეხბურთის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

ვეტერანთა წერილს ხელს აწერენ: **ი. საბო, ა. ბიბა. ი. რომენსკი, და სხვანი, სულ 16 ხელმოწერა.**

## რვაფეხას პრინციპით!

# საქმე გამოუჩნდათ...

**„მატჩი დათქმულ დროზე გვიან დაიწყო, რის გამოც შედეგს ვერ გთავაზობთ" — გაუწყეთ 25 ივლისს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გუნდის „მგლებისა" და თურქეთის ქალაქ რიზეს „რიზესპორის" წინა დღეს გამართული საერთაშორისო შეხვედრის შესახებ.**

**საერთაშორისო მატჩის დაგვიანებით დაწყება, მოგეხსენებათ, საგანგებო შემთხვევაა. ბუნებრივია, დავინტერესდით მიზეზით და ახსნა-განმარტებისთვის მივაკითხეთ რიზელი ფეხბურთელების ტურნეს თაოსანს, საფეხბურთო კლუბ „მგლების" პრეზიდენტს მიხეილ ქურდიანს.**

— რიზელი ფეხბურთელების ტურნეს საქართველოში, ცხადია, მოსამზადებელი პერიოდი უძღვოდა. — გვითხრა მან. — ჩვენ ტელექსის მეშვეობით ვუკავშირდებოდით „რიზესპორს", ვაწვდიდით მათთვის საჭირო ინფორმაციას მომავალი ტურნეს შესახებ, თითქოს არანაირი პრობლემა არ უნდა შეგვქმნოდა, საქმე მოგვარებული გვეგონა, მაგრამ...

„რიზესპორის" საქართველოში მოწვევას, თურქეთში საბჭოთა კავშირის საკონსულოს გვერდის ავლით, ცხადია, ვერ მოვახერხებდით. საქმის არსი, რა თქმა უნდა, მათთვისაც უნდა გვეცნობებინა, შეგვეთანხმებინა ტურნესთან დაკავშირებული არაერთი ფორმალური და სხვა საკითხი. აი, აქ კი გვიმუხთლეს და ძალიანაც გაგვაწვალეს: ჩვენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თავაზიანი ნებართვით ამ სამინისტროს ტელექსით ვუკავშირდებოდით საკონსულოს, რიზელებს კი ვატყობინებდით, რომ სათანადო თხოვნასა და ინფორმაციას ტელექსით ვაგზავნიდით სსრ კავშირის ანკარის საკონსულოში. რიზელებმა რამდენჯერმე მიაკითხეს საკონსულოს, მაგრამ იქ უარით და მხრების აჩეჩვით გამოისტუმრეს ისინი — საქართველოდან არანაირი ტელექსი არ მიგვიღიაო. რიზელებს ჯერ ძალიან უკვირდათ ეს ამბავი, მაგრამ მერე ყველაფერს მიხვდნენ. ჩვენი თხოვნით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გიორგი ჯავახიშვილი პირადად დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის კონსულს ანკარაში — გოლოვკინს, რომელმაც განაცხადა — ნუ ღელავთ, ვიზები გაიცემაო. დავიჯერეთ კონსულის სიტყვები, ჩავედით სარფში რიზელების დასახვედრად, მაგრამ სულ ტყუილად — კონსულს სიტყვა გაეტეხა, რიზელებისთვის ვიზების მიცემაზე უარი ეთქვა. მივხვდით, ყველაფერი კეთდებოდა ტურნეს ჩასაშლელად. სასწრაფოდ უნდა გვემოქმედა. ჩავედით ბათუმში, ვესაუბრეთ თურქეთის კონსულს, რომელმაც აღგვითქვა, ამ საკითხს პირადად გავარკვევ, გავიგებ, რატომ არ ჩამოდის „რიზესპორი", ჩვენი მხრიდან მათ არავითარი წინააღმდეგობა არა აქვთო. იმავე ღამეს დავბრუნდით თბილისში, გვიანი იყო, მაგრამ მაინც შევაწუხეთ გიორგი ჯავახიშვილი, რომელიც არ დაგვზარდა და დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის ელჩს თურქეთში. მათი საუბრისას გაირკვა, რომ კონსულ გოლოვკინს კოლოსკოვისთვის უცნობებია, თურქეთის პროფესიული კლუბი საქართველოში აპირებს ტურნეს გამართვასო. კოლოსკოვს კატეგორიულად მოუთხოვია, ვიზები არ გასცეთო, მერე, როგორც ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტს, თურქეთის სპორტის მინისტრისთვის „სათანადო ინსტრუქციებიც" გაუგზავნია. ამასობაში „რიზესპორის" ფეხბურთელები კვლავ ვიზების მოლოდინში იყვნენ, თურქულ გაზეთებში დაიბეჭდა კიდეც წერილები, რომლებიც იტყობინებოდნენ — „რიზესპორი" ელოდება ვიზებს. ამ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფთ კვლავ ბატონი გიორგი ჯავახიშვილი დაგვეხმარა — იგი დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს და კატეგორიულად მოითხოვა ამ საქმის მოგვარება. ეს იყო პრინციპული საუბარი, რომლითაც, ფაქტობრივად, მოგვარდა ეს გაჭიანურებული საქმე. იოლი მისახვედრია, როგორ ვემადლიერებით მას ამ თანადგომისათვის. ყოველივე ამან, ცხადია, დიდი დრო წაიღო. ასე რომ, პირველი თამაშის დროულად დაწყებას ველარ ვასწრებდით. სხვათა შორის, კოლოსკოვისთვის ცნობილი იყო, თუ როდის და რომელ საათზე უნდა გამართულიყო პირველი მატჩი და მან ყველაფერი იღონა ამ თამაშის ჩასაშლელად. ამას ისიც დაემატა, რომ „რიზესპორი" საზღვარზე შეაყოვნეს. ერთი სიტყვით, უმძაფრეს ცაიტნოტში აღმოვჩნდით, გამოსავალი სასწრაფოდ უნდა მოგვეძებნა და ასეც მოხდა — დემოგრაფიულმა საზოგადოებამ იქირავა თვითმფრინავი, რომლითაც თბილისში გადმოვაფრინეთ რიზელი სტუმრები. ცხადია, ამ საქმეშიც გამოგვიჩნდნენ მხარში ამომდგომნი და ჩვენ მათაც დიდად ვემადლიერებით. თამაშიც ამიტომ დაიწყო გვიან, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თბილისელ მაყურებლებს არ მიუტოვებით ტრიბუნები, საკმაო ხანს ელოდნენ თამაშის დაწყებას. არც „რიზესპორის" ფეხბურთელებს დასცდენიათ საყვედური — ისინი ხომ მთელი დღე გზაში იყვნენ, საზღვრიდან პირდაპირ ჩვენი ეროვნული სტადიონის გასახდელში ამოყვეს თავი, არავის უთქვამს და უგრძნობინებია, დავიღალეთო. პირიქით, თამაშის წინ გამოგვიცხადეს — აღვმართოთ ჩვენი დროშები, ყველამ დაინახოს და გაიგოს, რომ შეხვედრა ოფიციალურია, რომ ჩვენ მზად ვართ მუდამ მხარში ვედგეთ ქართულ ფეხბურთს.

### კეთილი ნების თამაშები

# საქართველოს რეკორდი სიეტლში

(დასასრული)

ყველაზე კარგად დავით გობეჯიშვილი გამოდის. მან სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე დროზე ადრე დაამთავრა. განსაკუთრებით ეფექტური იყო მონღოლ გოლიათთან ადუკონ ბაატარხუსთან გამარჯვება (დავითი 114 კილოგრამს იწონის, მისი მეტოქე კი 126-ს), რასაც დარბაზი დიდი ტაშისცემით შეხვდა.

მონღოლეთის ნაკრები საბჭოთა მოჭიდავეებმა საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხეს, მაგრამ ორთაბრძოლათა უმრავლესობა მაინც ქულებით მოიგეს. ასეთი შედეგები ჰქონდა კერძოდ: გნელ მეჯლუმიანს (48 კგ), სერგეი ზამბალოვს (52 კგ), სტეპან სარქისიანს (62 კგ.), არსენ ფაძაევს (68 კგ.), ადლან ვარაევს (74 კგ.), ელმადი ჟაბრაილოვს (82 კგ), მახარბეკ ხადარცევს (90 კგ.) და ანდრეი გოლოვკოს (100 კგ). მახაჩყალელი რუსლან კარაევი (57 კგ.) კი საერთოდ დამარცხდა მონღოლთა გუნდის კაპიტანთან კალტმაგინუ ბატუულთან.

მაღალ დონეზე ატარებს შეხვედრებს ამერიკელი მძიმეწონოსანი ბრიუს ბაუმჰარტნერიც (იგი მეორე ჯგუფში ასპარეზობს). ამ 29 წლის გამოცდილმა მოჭიდავემ იაპონელი ტამონი ხონდუ სარეკორდოდ მცირე დროში — 46 წამში წააქცია. მაყურებლები მოუთმენლად ელიან გობეჯიშვილისა და ბაუმჰარტნერის ორთაბრძოლას, რომელიც მოჭიდავეთა ტურნირის მთავარ ორთაბრძოლად მიაჩნიათ. ამ შეხვედრის შედეგს, სხვათა შორის, ჩვენც მოუთმენლად ველით.

კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი მთავრდება დღეს, 29 ივლისს. ფინალში ერთმანეთს ამერიკისა და იუგოსლავიის გუნდები შეხვდებიან. ეს ცნობილი გახდა ნახევარფინალების შემდეგ, რომელშიც იუგოსლავიამ დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრები — 84:78 (45:36), აშშ-მ კი ბრაზილიის კალათბურთელებს მოუგო — 112:95 (58:45).

შეძლო თუ არა საბჭოთა ნაკრებს იუგოსლავიელთა დამარცხება და ფინალში გასვლა? საბჭოთა მიმომხილველების აზრით, შეეძლოთ, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო სწრაფ ტემპში თამაში, დაცვაში პრესინგის გამოყენება და უკანა ხაზიდან შეტევაში ელვისებური გადასვლა. მაგრამ ეს თეორიული მსჯელობაა და, თავის მხრივ, ახალ, არანაკლებ ლოგიკურ შეკითხვას ჰბადებს. შეეძლოთ კი საბჭოთა კალათბურთელებს ამ სქემით თამაში? რეალური სურათი ასეთია: საბჭოთა ნაკრებში ერთადერთი კალათბურთელი ტიხონენკო გახლდათ, რომელმაც შეუცდომლად ითამაშა და მატჩის მთელი სიმძიმე საკუთარ ზურგზე გადაიტანა. დანარჩენები კი გუნდის ლიდერს ოსტატობით ჩამორჩებოდნენ.

აი რამდენიმე პროგნოზი ფინალური შეხვედრის წინ:

**ბარასტასი** (სსრკ ნაკრების მწვრთნელი): „პირველ ადგილს, ალბათ, ამერიკის გუნდი დაიკავებს, რომელიც ყოველ დღე უფროდაუფრო ძლიერად და აზრიანად თამაშობს. იუგოსლავიას ჰყავს რამდენიმე კარგი კალათბურთელი, მაგრამ ამერიკელები, უფრო ტექნიკურნი არიან და კოლექტიურადაც მოქმედებენ“.

**ტიხონენკო** (სსრკ ნაკრების წევრი): „დარწმუნებული ვარ, რომ ფინალს ამერიკელები მოიგებენ, თანაც დიდი უპირატესობით“.

**ივკოვიჩი** (იუგოსლავიელთა მწვრთნელი): „აშშ-ს გუნდი კარგად არის მომზადებული. მას კარგი მწვრთნელიც ჰყავს. ამერიკელები, რა თქმა უნდა, ფავორიტები არიან, მაგრამ მათთან თამაში შეიძლება“.

### „ავტოგრაფები“ ტაბლოზე

**26 ივლისი.**

**მძლეოსნობა. ვაჟები.** ესტაფეტა 4X100. 1. აშშ (მ. მარში, დ. კანსილი, ა. კეისონი, დ. მიჩელი) — 38,45; ესტაფეტა 4X400. 1. აშშ (კ. დენიელი, ა. პეტიგრიუ, ე. ვალმონი, ტ. საიმონი) — 2.59,54; სიმაღლეზე ხტომა. 1. ჰ. კონვეი (აშშ) — 233 სმ; სამხტომი. 1. კ. ჰარისონი (აშშ)—17.72 მ; უროს ტყორცნა. 1. ი. ასტაპკოვიჩი (სსრკ) — 84.12 მ.

**ქალები.** 10000 მ. 1. ვ. პანფილი (პოლონეთი) — 32.01,17; 400 მ. თარჯრბენი. 1. ს. ფარმერ-პატრიკი (აშშ) — 55,16: ესტაფეტა 4X100. 1. აშშ (კ. გუდრი, შ. ეკოლზი, მ. ფინი, ე. ეშფორდი); ესტაფეტა 4X 400. 1. სსრკ-1 (ე. ვინოგრადოვა, მ. შმონინა, ე. რუზინა, ლ. ჯიგალოვა).

**ფრენბურთი. ქალები.** VII ადგილისთვის: კანადა — კუბა 3:0, V ადგილისთვის: აშშ — იაპონია 3:2, III ადგილისთვის: ბრაზილია—პერუ 3:2, ფინალი: სსრკ — ჩინეთი 3:1. 1. სსრ კავშირი, 2. ჩინეთი, 3. ბრაზილია.

**ხელბურთი. ვაჟები.** ნახევარფინალები. 5-8 ადგილებისთვის: ჩსფრ — ს. კორეა 36:35; ისლანდია — იაპონია 27:18. 1-4 ადგილებისთვის: იუგოსლავია — აშშ 21:18; სსრ კავშირი — ესპანეთი 29:20.

**წყალბურთი.** „ა“ ჯგუფი: იუგოსლავია — უნგრეთი 12:9; იტალია — კუბა 14:8. „ბ“ ჯგუფი: ავსტრალია—აშშ 9:8, სსრ კავშირი—ესპანეთი 11:8.

**კეტბურთი.** აშშ — სსრ კავშირი 17:0.

**27 ივლისი.**

**სპორტული ტანვარჯიში. ქალები.** გუნდური პირველობა. 1. სსრ კავშირი (ტ. ლისენკო, ნ. კალინინა, ს. ბოგინსკაია, ო. ჩუსოვიტინა) — 118,759 ქ.

**წყალბურთი.** „ა“ ჯგუფი: იუგოსლავია — იტალია 16:9; კუბა—უნგრეთი 10:8. „ბ“ ჯგუფი: ესპანეთი — აშშ 10:7, სსრ კავშირი — ავსტრალია 8:7.

**კეტბურთი.** კანადა — პუერტო-რიკო 6:4; კუბა —ტაივანი 11:1; იაპონია — მექსიკა 11:4.

**ჰოკეი.** შვეცია — ჩსფრ 5:4.

**ხელბურთი. ვაჟები.** III ადგილისთვის: ესპანეთი —აშშ 24:19. ფინალი: სსრ კავშირი — იუგოსლავია 29:27. 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. ესპანეთი.

# ტრადიციებს არ ღალატობენ

**შევიტყვეთ** თუ არა, დონეცკში საშუალო სპეციალური სასწავლებლების პირველი სპორტული ფესტივალი გაიმართებაო, მაშინვე გავიფიქრეთ: ჩვენი რესპუბლიკიდან იქ, რა თქმა უნდა, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენლები გაემგზავრებიან. ისეთი სპორტული ტრადიციები, ამ სასწავლებელს რომ აქვს, ბევრ ფიზკულტურის ტექნიკუმსაც შეშურდება, ჩვენშიც და სხვაგანაც. ასეც მოხდა. როგორც ყოველთვის, საშუალო სპეციალური სასწავლებლების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ყველას აჯობეს ამ ტექნიკუმის აღსაზრდელებმა და ფესტივალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ეს არ იყო გასაკვირი. ისეთი შეჯიბრებებიც გვახსოვს, მაგალითად, მძლეოსნური ამანათრბენი „თბილისის რკალი“, როცა ამ ტექნიკუმის ფიზკულტურელებს უმაღლესი სასწავლებლის გუნდისთვის უჯობნიათ.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტკლუბ „მშენებლის“ წევრებმა დონეცკში 9 გუნდით იასპარეზეს, საპრიზო ადგილები გუნდურ სახეობებშიც დაიკავეს და პირად ჩათვლაშიც, საბოლოოდ კი, საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილზე გავიდნენ. კლუბის ორმა წევრმა სპორტის ოსტატობის ნორმატივიც შეასრულა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სხვა რესპუბლიკების გუნდები რამდენიმე ტექნიკუმის აღსაზრდელებით იყვნენ დაკომპლექტებული, ჩვენს გუნდში კი მხოლოდ ერთი ტექნიკუმის წარმომადგენლები იყვნენ. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ფესტივალის ორგანიზატორებს და თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდი სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვეს.

„**დიდ** ძალი ხალხი იყო გუშინ წინ, 1 ოქტომბერს, მცხეთობაზედ. ბევრი ქალაქელები და კიდევ უფრო მომეტებული სხვა და სხვა სოფლებიდან მოსულები...

ძველი, მამა-პაპური დროს გატარება, ღვინის სმისა და ზურნის გარდა, მხოლოდ ერთიღა იყო: ჭიდაობა. მაგრამ კაი ჭიდაობა კი იყო. რამდენიმე წყვილი ქალაქელი და სოფლელი დააჭიდეს. კარგი საყურებელია. კაი ჭიდაობა, თუ მარჯვე ბიჭები არიან მოჭიდავენი: ჯერ ჯარასავით უტრიალებენ ერთმანეთს, თუ სად და როგორ ჩავავლო ხელი ჩემს მოწინააღმდეგესო. ერთხელ სცადა, ხელი წაუცდა ან დამპალი ჩოხა ხელში შერჩა; მეორეჯერ სცადა, არ იქნა, ვერ მოავლო მარჯვედ. უეცრად, ერთის თვალის დახამხამებაში ჰხედავ, რომ ერთი მოჭიდავეთაგან ეძგერა, წაავლო მეორეს ხელი მკლავებში, გაწვა და სანამ გონზე მოხვიდოდე, თუ რა არისო, მეორეს ფეხები მაღლა აუშვერია და ზევიდან მობრძანდება, ძირს იშხლართება...

ექვსჯერ იყო ჭიდაობა და თითქმის ექვსივეჯერ ქალაქის ბიჭებმა დასცეს სოფლელები; არც გასაკვირველია: ქალაქის ბიჭი ხუთი წლიდან დაწყობილი მუშტი-კრივსა და ჭიდაობას ეჩვევა; სოფლელი — კი რა! დღე და ღამე გუთანს ეჭიდება! თავის სანუგეშოთ სოფლელები ამბობდნენ, რომ რაც კაი მოჭიდავე ბიჭები (მეტოქეები) გვყვანდა, სულ წავიდნენო, თორემ ჩვენ ვიცით, ვინ დარჩებოდა გამარჯვებულიო...“

**„დროება“, 1876 წ. № 105, 8 ღვინობისთვე**

**ტიბაანი** (სიღნაღის მაზრა), დეკემბრის 27 აქ იყო ხარსის მონასტრის ტაძრობა: წმინდა სტეფანობა; დიდძალი ხალხი მოვიდა სხვადა-სხვა სოფლებიდამ. არხიმანდრიტმა მ. ლეონიდმა ადვილ-გასაგების ენით წარმოსთქვა გონებაგრძნობის ზნეობრივად ასამაღლებელი ქადაგება, რომელსაც მოწიწებით ისმენდა ხალხი. სხვა მრავალ წმინდა ქართულ ლხინ-ვარჯიშობასთან, წირვის გამოსვლისას ქიზიყელებმა გაჰმართეს გმირული ჯირითობა (დოღი) მოლიპულ თოვლზე, რომელზედაც ისეც საშიშია ცხენის გატარება; გულადობით განთქმულნი ქიზიყელნი — კი მერცხლებივით მიაფრენ მოაფრენდნენ სანაქებო ცხენებს, თითქოს იმით დიდძალ მაყურებლებს ამას ეუბნებოდნენ: მამაპაპისებური ვაჟკაცობა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო“...

**„ივერია“, 1894 წ. 8 იანვარი.**

**თითქმის** მთელი ეს უკანასკნელი კვირა ჩვენს ქალაქში ორი კაცის სახელი გაისმის: გლდანელი

## ჭიდაობა, დოღი...

და ღოღაძე! ღოღაძე და გლდანელი! ამ ორი ფალავნის შეტაკების მოლოდინით აღელვებულმა ხალხმა გუშინწინ, ორშაბათს საღამოს დაიმშვიდა გული: ერთი ამ ორ გმირთაგანი დამარცხდა, მეორეს დარჩა პირველი მოჭიდავის სახელი. მაგრამ თავიდამ დავიწყოთ.

ორი-სამი თვეა, რაც პირველად გაითქვა გლდანელის სახელი. ამ ხნის განმავლობაში, რაც კი ჩვენში საუკეთესო მოჭიდავეები იყო, ყველა დაამარცხა, გალახა, ელიოზოვი, ფიონელი, კახელი, რენელი, სისაკა ავლაბრელი — ჭიდაობის უსტაბაშები — დღეს აღარ იხსენებიან; ამათ გარდა ათიოდ სხვებიც გალახა სულ ამავე გლდანელმა.

ამბობდნენ, ამის ტოლი მოჭიდავე საქართველოში ახლა აღარ მოიპოვებაო.

ამ დროს საიდგამღაც იყო გაისმა ღოღაძის სახელი. — თუ მოერევა ის, თორემ სხვა იმედი არ არის, ხიზამბარელობას დაიმკვიდრებსო.

ჩამოიყვანეს ეს ღოღაძეც. პირველი შეტაკება გასულ შაბათს მოხდა დიდუბეში. მაგრამ არცერთის მხრით არ დარჩენილა გამარჯვება. მხოლოდ საზოგადო აზრი კი ის იყო, რომ ღოღაძემ თუმცა კი ვერ დასცა, მაგრამ დაძლევით დასძლია გლდანელიო.

რადგან პირველი ჭიდილი არაფრით გათავდა, მეორეჯერ გუშინწინ, ორშაბათს უნდა შებმულიყვნენ და ვინც დასძლევდა, დაფნის გვირგვინი და პირველობა იმისი იქნებოდა. საღამოს ხუთი საათიდამ დიდ-უბის მინდორი გაივსო ცხენოსნებით, ფაიტონებით, დროგებით და უანგარიშო ქვევითა ხალხით. პოლიცმეისტერი თავის მოხელეებით ციბრუტივით ტრიალებდნენ. წრეს აკეთებდნენ. შვიდ საათზე ყველაფერი მზათ იყო; მშვენიერ სურათს წარმოადგენდა დიდი, უშველებელი წრე, მწვანე მინდორზე გარშემო მუხლ-მოკეცილი ხალხი, შემდეგ ფეხზე მდგომნი, ამათ უკან ფაეტონებზე და დროგებზე, კიბეებზე მდგომი ხალხი. წრეს შიგნით მხოლოდ წარჩინებული ქართველი თავადიშვილები, რამდენიმე ღენერლები, კნეინები და დიდ-ძალი ყმაწვილ-კაცობა.

დაუკრეს ჭიდილის ზურნა. ხალხში მოძრაობა შეიქნა. ცოტა ხანს, წრეში, ფალავნების მომხრეებს შორის გაცხარებული ბაასი ასტყდა ჩოხების თაობაზედ.

ბოლოს მორიგდნენ. ხელ-ახლა დაჰკრა ზურნამ და ხელ-ახლად აღელდა ხალხი. ერთის მხრიდგამ გამოვიდა ღოღაძე, მეორედგან გლდანელი. სასიამოვნო იყო ამათი დანახვა. ღოღაძე ისეთი ზორბა ვინმეა, ისეთი გულ-მკერდის პატრონი და ისეთის თამამის, გამბედაობის შეხედულობით გამოდის მოედანზე, რომ გგონია შესჭამს თავის მოპირდაპირესო. გლდანელს თავის ჩვეულებრივი სითამამე და სიხალისე არ ატყვია; არც შეხტა გამოსვლისთანავე და არც შეითამაშა.

ორივე დინჯად უახლოვდება ერთმანეთს. გლდანელს თავი ძირს დაუწევია, ხელები წინ. ღოღაძე პირ-დაპირ, თავ-აღერილი, თამამად მოდის, ეტყობა, თავისთავის იმედი აქვს. პირველად ეს მიუახლოვდა და მოინდომა ხელი ჩაევლო გლდანელისათვის ჩოხაში, აიცდინა. მეორედ მოინდომა, კიდევ დაუსხლტა ხელიდამ, მესამედ — იგივე. ეტყობოდა, რომ ამ გარემოებამ ის მოთმინებიდამ გამოიყვანა.

ხუთი ათასზე მეტი ხალხი, მხედველობად გადაქცეული, სულ-განაბული შესცქეროდა ამ სურათს.

უეცრად, თვალმა ვერც კი მოასწრო ამის შეხედვა, გლდანელმა ორივე ხელი ჩასჭიდა თავის მოწინააღმდეგეს. სანამ ეს მოწინააღმდეგე ხელის წავლებას მოასწრებდა, ჩაუჩოქა, მოიდვა ეს ამოდენა კაცი ზურგზე, კისრით წამოიღო და მთელის ზურგით, პირ-აღმა გაშხლართა მიწაზე...

ყველა ამას სწორედ იმდენი დრო მოუნდა, რამდენიც თვალის დახამხამებას მოუნდება ხოლმე. ასე რომ ბევრმა ვერც კი მოისაზრა — სიზმარში მოეჩვენა ეს უეცარი მოვლენა, თუ ცხადშიო.

იმ წამსვე იგრიალა ხალხმა, მივარდნენ, გააშველეს — გლდანელს კოცნა „ბარაქალა, ბიჭო-“-ოც თუმანზე მეტი. შეწუხებულ ღოღაძეს არაფერი; მხოლოდ ხალხში აქა-იქ გაისმოდა:

„— აფსუს, რა ბიჭი გააფუჭა ამ მ-მა გლდანელმა! გათავდა, ამის მომრევი დღეს აღარავინ არისო!

ამბობენ მასაც, რომ ამ დღეს ღოღაძე ძალიან ნასომი იყოვო“.

**„დროება“, 1882 წ. 16 ივნისი (№ 123).**

### ქართული პრესა წერდა...

პუბლიკაცია მოამზადა
**ხულიკო ნუცუბიძემ.**

## სოხუმელები—„მოლოდ გალიჩინას“ პრიზზე

**ლვოვში** გამართულ მოსწავლე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ასპარეზობაში ახალგაზრდულ საოლქო გაზეთ „მოლოდ გალიჩინას“ პრიზზე, მასპინძლებთან ერთად ჩაბმულნი იყვნენ პოლონეთის, ლიტვის, მინსკისა და სოხუმის წარმომადგენლები.

ტურნირში თავი ისახელეს სოხუმელმა ჭაბუკებმა — ვეფხია თოდუამ და არტიომ ლაზარიანმა, რომლებმაც თავიანთ დაფებზე პირველი ადგილები დაისაკუთრეს. სოხუმელებს არც გუნდურ ჩათვლაში შეურცხვენიათ თავი და საპატიო მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. პირველობა დარჩათ ლვოველებს, მესამე ადგილზე კი ლიტველი მოსწავლეები გავიდნენ.

**თენგიზ პაპკორია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

### ტელეხედვა - მკითხველი

**ნორკროსი.** ამერიკის ამ ქალაქში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა პრესტიჟული გუნდური ტურნირი — ფედერაციის თასის გათამაშება. მორიგი შეხვედრა საბჭოთა ნაკრებმა ჰოლანდიელებს მოუგო — 2:1. ნატალია ზვერევამ ჯერ მანონ ბოლეგრაფი დაამარცხა 6:1, 6:3, მერე ლარისა სავჩენკოსთან ერთად ბოლეგრაფ-ბრენდ შულცის წყვილს აჯობა 7:6, 6:3. ლეილა მესხმა ორთაბრძოლა დათმო შულთან 7:6, 4:6, 3:6, სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: ესპანეთი — საფრანგეთი 3:0, ინდონეზია — მექსიკა 2:1, შვეიცარია — ბრაზილია 3:0, უნგრეთი — ლუქსემბურგი 2:1.

**ჩოგბურთელთა** კანადის ღია ჩემპიონატში გაიმართა მეოთხედფინალები. მაიკლ ჩანგმა (აშშ) დაამარცხა თანამემამულე ანდრე აგასი 4:6, 7:5, 7:5. პიტ სემპერსმა კი ჯონ მაკინროუს (ორივე — აშშ) მოუგო 7:6, 4:6, 6:3. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: იაკობ ჰლასეკი (შვეიცარია) — ჯეი ბერგერი (აშშ) და ჩანგი-სემპერსი.

**არგენტინელმა** ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება. „თამაშისგან მე არ დავღლილვარ, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ღირსეულად არ აფასებს მოთამაშეთა შრომას“. — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება მარადონამ არგენტინის ტელევიზიის კორესპონდენტთან საუბარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პოლონელი ფეხბურთელები საჩხერეში

**მოგეხსენებათ,** ამას წინათ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საფეხბურთო კლუბ „მგლებსა“ და თურქეთის ქალაქ რიზეს პროფესიულ კლუბ „რიზესპორს“ შორის. მისასალმებელია თურქ ფეხბურთელთა გაბედული ნაბიჯი, რის შესახებაც ითქვა და დაიწერა. „რიზესპორი“ არ შეუშინდა საერთაშორისო ფედერაციების სანქციებსა და უცხოეთის საფეხბურთო კლუბებიდან პირველმა მიიღო რესპუბლიკის დემოგრაფიული საზოგადოების მიწვევა.

და აი, მეორე ვიზიტი პოლონეთის ქალაქ კრაკოვიდან. ჩვენს რესპუბლიკაში ერთკვირიანი საწვრთნელი ციკლის ჩასატარებლად ჩამოვიდა ამ ქალაქის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც დაკომპლექტებულია საფეხბურთო კლუბ „კრაკოვის“ ჭაბუკი სპორტსმენებით, ვიდრე უშუალოდ სტუმართა მიერ ჩვენს რესპუბლიკაში გამართული მატჩების შესახებ მოგითხრობდეთ, გვინდა მოგახსენოთ იმ კურიოზის შესახებ, რომელიც პოლონელ სპორტსმენებს გადახდათ. თვრამეტკაციანი დელეგაცია უკრაინის დედაქალაქიდან სოჭში ჩამოფრინდა, რათა აქედან თბილისისაკენ აელო გეზი. სტუმრებს სოჭში დახვდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენელი (ეს ვიზიტი „შევარდენის“ საზოგადოების ინიციატივით მოეწყო). მატარებლის ბილეთების პრობლემა, ასეთ დროს, თითქოს არ უნდა არსებობდეს, რადგანაც დელეგაციებს, მით უმეტეს, საზღვარგარეთიდან, პრივილეგია ეძლევათ. ამჯერად, როდესაც სოჭის რკინიგზის უფროსმა გაიგო პოლონელ ფეხბურთელთა ვიზიტის შესახებ, სტუმრებს შემდეგი განუცხადა: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეყო საკავშირო ფედერაციას და თბილისის მიმართულებით მიმავალ მატარებელზე ვერც ერთ ბილეთს ვერ მოგცემთ“.

ამის შემდეგ სალაროების გრძელ რიგში ჩადგნენ სტუმართა მწვრთნელები და „შევარდენის“ წარმომადგენლები, რომლებმაც რის ვაი-ვაგლახით შეძლეს თბილისისკენ გასამგზავრებელი ბილეთების შეძენა.

მსგავსი კურიოზები სხვა დროსაც მომხდარა და მოხდება კიდეც. ამიტომ მასზე შეიძლება არ გაგვემახვილებინა ყურადღება, ერთი გარემოება რომ არა — პოლონეთის გუნდის ხელმძღვანელობამ შეგნებულად აუარა გვერდი მოსკოვში ჩასვლას, რათა არიდებოდა ცენტრის ფეხბურთის მესვეურთა მტკიცებას ქართული ფეხბურთის თვითიზოლაციის შესახებ, ჩაფრინდნენ კიევში, აქედან კი სოჭს ესტუმრნენ, რათა, მათი აზრით, უფრო გაადვილებოდათ საქართველოში ჩამოსვლა. სტუმრებს აქაც გაუთვალისწინებელი ამბავი დახვდათ, სწორედ ამიტომ იმსახურებენ პოლონელები დაფასებას და პატივისცემას. ჩვენთან საუბარში გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათ პოლონეთის ბევრ საფეხბურთო კლუბთან აქვთ კავშირი და ჩასვლისთანავე პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოუწოდებენ, რომ ქართულ ფეხბურთთან კავშირს მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია.

ახლა უშუალოდ სტუმართა მიერ გამართული შეხვედრების შესახებ. პირველი თამაში კრაკოველთა გუნდმა „შევარდენის“ ჭაბუკ ფეხბურთელებთან გამართა და გაიმარჯვა 1:0. მეორე შეხვედრის ჩატარების სურვილი მრავალმა ქალაქმა და რაიონმა გამოთქვა, მაგრამ არჩევანი საჩხერეზე შეჩერდა და არც თუ უსაფუძვლოდ. ჯერ ერთი, საჩხერელთა საფეხბურთო მინდორი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ისიც, რომ ადგილობრივი „ჩიხურა“ ყველაზე ახალგაზრდა გუნდია რესპუბლიკის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის. ზემო იმერეთის ამ ლამაზ კუთხეს პირველად ეძლეოდა შესაძლებლობა საერთაშორისო ამხანაგური მატჩისთვის ემასპინძლა. „ჩიხურას“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტ თ. გაგნიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ რაიონში გამართულმა პირველმა საერთაშორისო შეხვედრამ მაღალ დონეზე ჩაიარა: სავსე ტრიბუნები, ჩინებული სტადიონი, ერთგულების ლატარია საზეიმო ელფერს აძლევდა ასპარეზობას. ფეხბურთელებმაც არ დაზოგეს თავი წარმატების მისაღწევად. ერთადერთი ბურთი მეორე ნახევარში გაიტანა გოჩა მწყერაშვილმა — 1:0.

**ზაზა კახაძე.**
„ლელოს“ სპეც. კორ.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ჰოლანდიის** „ეინდჰოვენმა“ დაითხოვა რამდენიმე გამოცდილი ოსტატი. ვიმ კიფტი საფრანგეთის „ბორდოში“ გაიყიდა. დანიელი ფლემინგ პოულსენი — გფრ-ს „ბორუსიაში“ (დორტმუნდი). ჯერჯერობით ცნობილი არაა ჩეხი იოზეფ ჰოვანეცის ახალი კლუბი. სანაცვლოდ ნაყიდ ფეხბურთელთაგან ყველაზე ცნობილია ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟეოვანი, რომელიც აქამდე იტალიის „ბოლონიაში“ თამაშობდა.

● **არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა, რომ კონტრაქტი ნაკრების მწვრთნელ კარლოს ბილარდოსთან არ გაგრძელდება. ახლა ამ პოსტზე პრეტენზიას ორი სპეციალისტი აცხადებს. ესენია ბილარდოს თანაშემწე კარლოს პაჩამე და ქვეყნის ჩემპიონის „რივერ პლეიტის“ მწვრთნელი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი დანიელ პასარელა.

● **კამერუნის** ნაკრების თავდამსხმელი, 25 წლის სირილ მაკანაკი, რომელიც აქამდე საფრანგეთის „ტულონში“ თამაშობდა, როგორც ჩანს, გამოიცვლის კლუბს. მას ეპატიჟებიან ესპანეთის „მალაგა“ და იტალიის „პიზა“.

● **არგენტინის** ნაკრების ნახევარმცველ პედრო ტროლიოს, რომელიც რომის „ლაციოში“ თამაშობს, იტალიის შარშანდელ ჩემპიონატში არ გაუმართლდა. ჯერ ფეხი მოიტეხა, შემდეგ სპორტული ფორმა ვერ აღიდგინა. ასეთ პირობებში კლუბის მესვეურებმა მის ადგილზე მოიწვიეს ურუგვაის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველი რუბენ პერეირა („დანუბიო“). ტროლიოს კი ამოსარჩევად დარჩა ლონდონის „ჩელსი“ და ესპანეთის „ვალენსია“. მსოფლიო პირველობაზე არგენტინელთა წარმატების შემდეგ, ტროლიომ შესაძლოა შეინარჩუნოს თავისი ადგილი.

● **გფრ-ის** კლუბ „შტუტგარტს“ განზრახული აქვს არგენტინის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელების შეძენა. მიმდინარეობს მოლაპარაკება მეკარე სერხიო გოიკოეჩეასთან („მილიონარიოსი“, კოლუმბია). შესაძლებელია აქვე გადავიდეს თავდამსხმელი კლაუდიო კანიჯიაც („ატალანტა“, იტალია), რომელზეც უფლებას ჯერჯერობით იტალიის „ვერონა“ ინარჩუნებს. „შტუტგარტი“ მზადაა გადაიხადოს 4,8 მილიონი მარკა, თანაც „ვერონას“ დამატებით დაუთმოს ნახევარმცველი ხოსე ბასუალდო.

● **1978 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის გმირი არგენტინელი მარიო კემპესი ბოლო წლებში ავსტრიის „სენტ პოლტენში“ თამაშობდა. ახალ სეზონს იგი უმაღლესი ლიგის კლუბ „კრემსერში“ გაატარებს. 36 წლის კემპესი ახლაც საკმაოდ მაღალი კლასის თამაშს აჩვენებს და, როგორც ჩანს, არ აპირებს კარიერის დასრულებას.

● **დიეგო** მარადონას უმცროსი ძმა ჰუგო, შარშან ესპანეთის „რაიო ვალეკანოს“ ღირსებას იცავდა. მიუხედავად ამისა, კლუბს მოუხდა უმაღლესი ლიგის დატოვება. ახლა ჰუგო მარადონა ვენის „რაპიდში“ ვარჯიშობს და ემზადება ქვეყნის პირველობისათვის, რომელიც თვის ბოლოს დაიწყება.

● **კოსტა-რიკის** ნაკრების ორი უძლიერესი მოთამაშე გფრ-ში ითამაშებს. ერნან მედფორდი („სარისა“) 350 ათას შვეიცარიულ ფრანკად „შალკე 04“-მა შეიძინა, ხუან კაიასო კი „შტუტგარტერ კიკერსმა“.

(საქ. ინფ.)

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ჯგუფი

# გათამაშების კალენდარი

## (II წრე)

**საქართველოს** საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ჯგუფების გათამაშების პირველ წრეში ყოველი მთლიანი ტური ტარდებოდა ერთ სათამაშო დღეს, ეს კი მოუხერხებელი აღმოჩნდა გუნდებისთვისაც და მაყურებლებისთვისაც.

მეორე წრის კალენდარში ეს გარემოება გათვალისწინებულია.

**მე-18 ტური**

**3 აგვისტო, პარასკევი**
„ცხუმი“ — „შევარდენი-1906“

**4 აგვისტო, შაბათი**
„სამგურალი“ — „კოლხეთი“
„ოდიში“ — „ქუთაისი“
„ივერია“ — „მზიური“
„ამირანი“ — „მერცხალი“

**5 აგვისტო, კვირა**
„ლიახვი“ — „სანავარდო“
„დილა“ — „გურია“
„გორდა“ — „ბათუმი“
„კოლხეთი-1913“ — „იბერია“

**მე-19 ტური**

**8 აგვისტო, ოთხშაბათი**
„ცხუმი“ — „კოლხეთი“
„ივერია“ — „სამგურალი“
„მერცხალი“ — „ოდიში“
„ქუთაისი“ — „შევარდენი-1906“

**9 აგვისტო, ხუთშაბათი**
„კოლხეთი-1913“ — „მზიური“
„იბერია“ — „გორდა“
„ბათუმი“ — „დილა“
„ლიახვი“ — „გურია“
„სანავარდო“ — „ამირანი“

**მე-20 ტური**

**13 აგვისტო, ორშაბათი**
„შევარდენი-1906“ — „მერცხალი“
„ოდიში“ — „სანავარდო“
„ამირანი“ — „გურია“
„ლიახვი“ — „ბათუმი“
„დილა“ — „იბერია“
„კოლხეთი-1913“ — „ივერია“

**14 აგვისტო, სამშაბათი**
„კოლხეთი“ — „ქუთაისი“
„გორდა“ — „მზიური“

**15 აგვისტო, ოთხშაბათი**
„სამგურალი“ — „ცხუმი“

**21-ე ტური**

**17 აგვისტო, პარასკევი**
„ლიახვი“ — „იბერია“

**18 აგვისტო, შაბათი**
„ბათუმი“ — „ამირანი“
„მერცხალი“ — „კოლხეთი“

**19 აგვისტო, კვირა**
„კოლხეთი-1913“ — „სამგურალი“
„გურია“ — „ოდიში“
„სანავარდო“ — „შევარდენი-1906“
„ივერია“ — „გორდა“
„მზიური“ — „დილა“
„ქუთაისი“ — „ცხუმი“

**22-ე ტური**

**23 აგვისტო, ხუთშაბათი**
„სამგურალი“ — „ქუთაისი“
„შევარდენი-1906“ — „გურია“
„ოდიში“ — „ბათუმი“
„ლიახვი“ — „მზიური“
„ივერია“ — „დილა“

**24 აგვისტო, პარასკევი**
„ცხუმი“ — „მერცხალი“
„კოლხეთი“ — „სანავარდო“
„ამირანი“ — „იბერია“
„გორდა“ — „კოლხეთი-1913“

**28 აგვისტო, სამშაბათი**
**საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალის განმეორებითი მატჩები.**

**23-ე ტური**

**1 სექტემბერი, შაბათი**
„კოლხეთი-1913“ — „დილა“
„იბერია“ — „ოდიში“
„ბათუმი“ — „შევარდენი-1906“
„გურია“ — „კოლხეთი“
„გორდა“ — „სამგურალი“
„სანავარდო“ — „ცხუმი“
„მერცხალი“ — „ქუთაისი“
„მზიური“ — „ამირანი“

**2 სექტემბერი, კვირა**
„ივერია“ — „ლიახვი“

**5 სექტემბერი, ოთხშაბათი**
**საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები**

**24-ე ტური**

**9 სექტემბერი, კვირა**
„სამგურალი“ — „მერცხალი“
„კოლხეთი“ — „ბათუმი“
„შევარდენი-1906“ — „იბერია“
„ლიახვი“ — „კოლხეთი-1913“
„ამირანი“ — „ივერია“

**10 სექტემბერი, ორშაბათი**
„ქუთაისი“ — „სანავარდო“
„ოდიში“ — „მზიური“
„დილა“ — „გორდა“
„ცხუმი“ — „გურია“

**25-ე ტური**

**14 სექტემბერი, პარასკევი**
„გორდა“ — „ლიახვი“
„კოლხეთი-1913“ — „ამირანი“
„ბათუმი“ — „ცხუმი“
„სანავარდო“ — „მერცხალი“
„გურია“ — „ქუთაისი“

**15 სექტემბერი, შაბათი**
„მზიური“ — „შევარდენი-1906“
„ივერია“ — „ოდიში“
„იბერია“ — „კოლხეთი“
„დილა“ — „სამგურალი“

**19 სექტემბერი, ოთხშაბათი**
**საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები**

**26-ე ტური**

**23 სექტემბერი, კვირა**
„ქუთაისი“ — „ბათუმი“
„ცხუმი“ — „იბერია“
„ოდიში“ — „კოლხეთი-1913“
„ამირანი“ — „გორდა“
„კოლხეთი“ — „მზიური“

**24 სექტემბერი, ორშაბათი**
„მერცხალი“ — „გურია“
„ლიახვი“ — „დილა“
„შევარდენი-1906“ — „ივერია“
„სამგურალი“ — „სანავარდო“



**27-ე ტური**

**30 სექტემბერი, კვირა**
„ლიახვი“ — „სამგურალი“
„გურია“ — „სანავარდო“
„დილა“ — „ამირანი“

**1 ოქტომბერი, ორშაბათი**
„კოლხეთი-1913“ — „შევარდენი-1906“
„ბათუმი“ — „მერცხალი“
„გორდა“ — „ოდიში“
„იბერია“ — „ქუთაისი“
„მზიური“ — „ცხუმი“
„ივერია“ — „კოლხეთი“

**28-ე ტური**

**4 ოქტომბერი, ხუთშაბათი**
„ამირანი“ — „ლიახვი“
„სამგურალი“ — „გურია“

**5 ოქტომბერი, პარასკევი**
„სანავარდო“ — „ბათუმი“
„ივერია“ — „ცხუმი“
„შევარდენი“-1906“ — „გორდა“
„ოდიში“ — „დილა“
„მერცხალი“ — „იბერია“
„ქუთაისი“ — „მზიური“
„კოლხეთი“ — „კოლხეთი-1913“

**9 ოქტომბერი, სამშაბათი**
**საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები**

**29-ე ტური**

**13 ოქტომბერი, შაბათი**
„ამირანი“ — „სამგურალი“
„ლიახვი“ — „ოდიში“
„დილა“ — „შევარდენი-1906“
„გორდა“ — „კოლხეთი“
„ბათუმი“ — „გურია“

**14 ოქტომბერი, კვირა**
„ივერია“ — „ქუთაისი“
„მზიური“ — „მერცხალი“
„იბერია“ — „სანავარდო“
„კოლხეთი“-1913“ — „ცხუმი“

**30-ე ტური**

**18 ოქტომბერი, ხუთშაბათი**
„სამგურალი“ — „ბათუმი“
„მერცხალი“ — „ივერია“
„ქუთაისი“ — „კოლხეთი-1913“
„ცხუმი“ — „გორდა“
„კოლხეთი“ — „დილა“

**19 ოქტომბერი, პარასკევი**
„გურია“ — „იბერია“
„სანავარდო“ — „მზიური“
„შევარდენი-1906“ — „ლიახვი“
„ოდიში“ — „ამირანი“

**23 ოქტომბერი, სამშაბათი**
**საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალის განმეორებითი მატჩები**

**31-ე ტური**

**28 ოქტომბერი, კვირა**
„ოდიში“ — „სამგურალი“
„ლიახვი“ — „კოლხეთი“
„დილა“ — „ცხუმი“
„ამირანი“ — „შევარდენი-1906“
„იბერია“ — „ბათუმი“

**29 ოქტომბერი, ორშაბათი**
„გორდა“ — „ქუთაისი“
„კოლხეთი-1913“ — „მერცხალი“
„ივერია“ — „სანავარდო“
„მზიური“ — „გურია“

**32-ე ტური**

**3 ნოემბერი, შაბათი**
„სამგურალი“ — „იბერია“
„ბათუმი“ — „მზიური“
„გურია“ — „ივერია“
„შევარდენი-1906“ — „ოდიში“
„სანავარდო“ — „კოლხეთი“-1913“

**4 ნოემბერი, კვირა**
„მერცხალი“ — „გორდა“
„ქუთაისი“ — „დილა“
„კოლხეთი“ — „ამირანი“
„ცხუმი“ — „ლიახვი“

**33-ე ტური**

**8 ნოემბერი, ხუთშაბათი**
„შევარდენი-1906“ — „სამგურალი“
„ოდიში“ — „კოლხეთი“
„ამირანი“ — „ცხუმი“
„ლიახვი“ — „ქუთაისი“
„დილა“ — „მერცხალი“
„გორდა“ — „სანავარდო“
„კოლხეთი-1913“ — „გურია“
„ივერია“ — „ბათუმი“
„მზიური“ — „იბერია“

**34-ე ტური**

**12 ნოემბერი, ორშაბათი**
„სამგურალი“ — „მზიური“
„იბერია“ — „ივერია“
„ბათუმი“ — „კოლხეთი-1913“
„გურია“ — „გორდა“
„სანავარდო“ — „დილა“
„მერცხალი“ — „ლიახვი“
„ქუთაისი“ — „ამირანი“
„ცხუმი“ — „ოდიში“
„კოლხეთი“ — „შევარდენი-1906“

**18 ნოემბერი, კვირა**
**საქართველოს თასის ფინალური მატჩი**

**საქართველოს გუნდები პერიოდულად მონაწილეობენ საერთაშორისო მატჩებში და ტურნირებში, ამიტომაც კალენდარში შესაძლებელია ცვლილებები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ „თამაშგარე მდგომარეობაში“

**საფრანგეთში,** „ლემანის“ ტრასაზე გაიმართა 24-საათიანი რბოლა სპორტული ავტომობილებით ანუ „პროტოტიპებით“. გათამაშდა 58-ე „გრან პრი“.

ამ საინტერესო შეჯიბრებას დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია და რბოლების ორგანიზატორი, ავტომობილ კლუბ დე ლ' უესტი“, შეთანხმდნენ ასპარეზობის ტელეპირით გადაცემის თაობაზე. მათავარი საკითხი, რომელმაც ...ვე კამათი გამოიწვია, იყო „ლემანის“ 4 კმ სიგრძის სწორი მონაკვეთის — „ვირაჟ დე იუნოდიერის“ შეცვლა ფედერაციის მიერ დაკანონებული ახალი წესების თანახმად. ცნობილია, რომ სპორტული ავტომობილი ამ მონაკვეთს გადის დაახლოებით 400 კმ სთ სიჩქარით, ღამით კი ასეთი სისწრაფით მოძრაობა საფრთხეს უქმნის მრბოლთა და მაყურებელთა სიცოცხლეს.

როგორც იქნა, კამათი შეწყდა. ტრასას ორი პატარა მოსახვევი დაემატა, მაგრამ არაოფიციალურ საწვრთნელ რბოლებზე მოსული ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟან-მარი ბალესტრი მაინც უკმაყოფილო დარჩა და, რა თქმა უნდა, რბოლები კვლავ არ შეიტანა მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების კალენდარში.

არადა, „ავტომობილ კლუბ დე ლ' უესტმა“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მსოფლიოში ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რბოლა არ ჩაშლილიყო.

„საუბერ-მერსედესმა“, გაიხსენა რა შარშანდელი რბოლების დრამატული ფინალი, მაშინვე უარი თქვა შეჯიბრებებში მონაწილეობაზე. გამარჯვების რეალური შანსი გაუჩნდათ „იაგუარს“, „პორშესა“ და „ნისანს“, რომლის მრბოლებმა, საწვრთნელ რბოლებში საუკეთესო დრო აჩვენეს. ინგლისელებმა ჯულიან ბეილიმ, მარკ ბლანდელმა და იტალიელმა ჯანფრანკო ბრანკატელიმ ერთი წრის გავლისას განავითარეს 236 კმ სთ სიჩქარე.

სპეციალისტთა უმრავლესობა „ლემანის“ 58-ე გათამაშების აშკარა ფავორიტად „იაგუარს“ მიიჩნევდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ისინი არც შემცდარან.

გუნდის მენეჯერმა ტომ უოკინშოუმ პილოტთა ბრწყინვალე ანსამბლი შექმნა და ავტომობილებიც სათანადოდ იყო მომზადებული.

წარმოგიდგენთ „სილკ ქათ იაგუარის“ სამივე ეკიპაჟს. პირველი: ჯონ ნილსენი (დანია), პრაის კობი (აშშ) და მარტინ ბრანდლი (ინგლისი, მან ბოლო მომენტში შეცვალა ჩილელი ელიზეო სალასარი, რომელსაც „იაგუარი“ რბოლების დასაწყისშივე გაუჩერდა); მეორე: იან ლამერსი (ჰოლანდია), ენდი უოლესი (ინგლისი) და ფრანც კონრადი (გფრ), მესამე: ალენ ფერტე (საფრანგეთი), ლუის პერეს-სალა (ესპანეთი) და დევიდ ლესლი (ინგლისი).

„იაგუარის“ ერთ-ერთი სერიოზული მეტოქე „ჯოესტ პორშე“ რბოლებზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ჰანს-იოაჰიმ შტუკი (გფრ), დერეკ ბელი (ინგლისი) და ბობ ვულეკი (საფრანგეთი). მათ შეუერთდნენ ჯონათან პალმერი (ინგლისი), ფრანკ იელინსკი (გფრ) და ფრანგები — ანრი პესკაროლო და ჟან-ლუი რიჩი.

ვინაიდან „ლემანის“ რბოლები არ შედიოდა მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების კალენდარში, ყველას ეგონა, სანახაობრივი თვალსაზრისით შეჯიბრება უინტერესო იქნებოდა, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ამ გარემოებამ სრულიად არ შეუშალა ხელი ნამდვილ სპორტულ პაექრობას.

შაბათ-კვირას ასპარეზობას 200.000 მაყურებელი დაესწრო.

ლეგენდარული ჯეკი იქსი, რომელმაც სახელი გაითქვა სწორედ „ლემანის“ რბოლების მოგების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ასპარეზობას, ოღონდ, ამჯერად, როგორც „მაცუდას“ კონსულტანტ-მენეჯერი.

45 წლის ბელგიელმა სპორტსმენმა „ლემანის“ რბოლები 6-ჯერ მოიგო: 1969 წელს („ფორდი“), 1976 წელს („მირაჟ-ფორდი“), 1976, 1977, 1981, 1982 წლებში („პორშე“) და 1983 წელს.



სტარტი შესანიშნავად აიღო ჯულიან ბეილიმ („ნისანი“), მას მიჰყვა ელიზეო სალასარი, მაგრამ სულ მალე მისი „იაგუარი“ გამოეთიშა ასპარეზობას. დაწინაურდნენ „ნისანი“ და „პორშე“.

„იაგუარის“ პირველმა ეკიპაჟმა ბრწყინვალედ იასპარეზა ბოლო 12 საათის განმავლობაში და გაიმარჯვა. „ლემანის“ რბოლები ტომ უოკინშოუს გუნდმა მეშვიდეჯერ მოიგო.

არგენტინელი ოსკარ ლარაურის, ესპანელი ხესუს პასეხასა და შვეიცარიელი ვალტერ ბრუნის „პორშე“, რომელიც, სხვათა შორის, ამ უკანასკნელის სახელს ატარებს, მეორე იყო ბოლო 8 საათის მანძილზე, მაგრამ ფინიშამდე 15 წუთით ადრე ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და გუნდმა ასპარეზობა შეწყვიტა.

„ლემანის“ 24-სათიანი რბოლების 58-ე გათამაშების საბოლოო შედეგი ასეთია:

1. ჯონ ნილსენი, პრაის კობი, მარტინ ბრანდლი (დანია, აშშ, ინგლისი „სილკ ქათ იაგუარი“) — 4.800 კმ, 458 წრე, საშუალო სიჩქარე —204,036 კმ სთ;

2. იან ლამერსი, ენდი უოლესი, ფრანც კონრადი (ჰოლანდია, ინგლისი, გფრ, „სილკ ქათ იაგუარი“) — ჩამორჩა 4 წრით;

3. თიფ ნიდოლი, დევიდ სერსი, ტონი რიდი (ინგლის, „პორშე 962“) — ჩამორჩა 7 წრით;

4. ჰანს-იოაჰიმ შტუკი, დერეკ ბელი, ფრანკ იელინსკი (გფრ, ინგლისი, გფრ, „ჯოესტ პორშე“) — ჩამორჩა 9 წრით;

5. მაზაპირო ჰაზემი, კაცუოში ჰოშინო, ტოშიო სუძუკი (იაპონია, „ნისან მოტოსპორტი“) — ჩამორჩა 11 წრით.

**დავით ჩუბინიძე**

## დავით დუგლაძე



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტად ნიჭიერი, სიკეთით ალსავსე პიროვნება დავით დუგლაძე. ქართულმა მეცნიერებამ, მედიცინამ და სპორტმა დიდი დანაკლისი განიცადა....

1963 წლიდან 1970 წლამდე დავით დუგლაძე რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრი იყო თავისუფალ ჭიდაობაში, გახდა საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ხალხთა 1967 წლის სპარტაკიადის პრიზიორი, იყო საქართველოსა და „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავითმა ბევრი იყოყმანა, არ ეთმობოდა სპორტი, მაგრამ მეცნიერებაც თავისკენ უხმობდა. ბოლოს იხევ სამეცნიერო ასპარეზზე გადაინაცვლა: 1974 წელს გახდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 1984 წელს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დ. დუგლაძემ გამოაქვეყნა 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, ოთხი გამოგონება. მან ახალი მიმართულება შექმნა ღვიძლის უკმარისობის მკურნალობაში. მისი შრომებით საბჭოთა კავშირი ორჯერ წარდგა მსოფლიოს ქირურგთა კონგრესზე.

1989 წელს დ. დუგლაძე აირჩიეს ღვიძლის ქირურგთა მსოფლიო ასოციაციის წევრად. ასეთი პატივი მას პირველს ხვდა საქართველოში. ყოველივე ეს მან 45 წლამდე მოასწრო. ადრე, ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან.

ასეთი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან. მან ღირსეულად იცხოვრა, ღირსეული შვილები დატოვა, თავისი სიტყვა თქვა სპორტშიც და მეცნიერებაშიც და... დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა.

**საქართველოს სპორტსახკომი,**
**ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანება, თავისუფალი ჭიდაობის ფედერაცია.**



# „ოლ ბლექსი“

## „შავი გრიგალის“ წლები

**ეს** სახელი ნებისმიერი რაგბის მოყვარულისთვის ძვირფასია, ვინაიდან ამ გუნდის თამაშის მნახველი უთუოდ სიმპათიით განიმსჭვალება მისი მოთამაშეების მიმართ. ახალი ზელანდიის ნაკრებზე მოგახსენებთ — გუნდზე, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო რაგბიში და ახალი მოდის კანონმდებლადაც მოგვევლინა.

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი („ნიუ ზილენდ რაგბი ფუთბოლ იუნიონ“) 1892 წელს დაარსდა. დღეისათვის იგი აერთიანებს 1100 კლუბსა და 180 ათას მორაგბეს. ამ ქვეყანაში რაგბი პირველი სპორტია და ყოველი ახალზელანდიელის ოცნებაა ჩაიცვას „ოლ ბლექსის“ მაისური. ასე რომ, ნაკრების ასეთი სიძლიერე კანონზომიერიცაა.

ახალზელანდიელებს ცოტა ხანი დასჭირდათ მსოფლიო სარაგბო ელიტაში ადგილის დასამკვიდრებლად. თავდაპირველად ისინი ვერაფერს ახერხებდნენ ბრიტანელი და ფრანგი მორაგბეების წინააღმდეგ, მაგრამ შემდგომში ახალზელანდიურ რაგბიში წინსვლა დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. ამიტომაა, 80-იან წლებს „ახალზელანდიური ერა“ რომ შეიძლება ვუწოდოთ.

რამ გამოიწვია ასეთი პროგრესი? ახალზელანდიელებმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება, ხოლო შემდგომში უმაღლეს დონემდე აიყვანეს ე. წ. მიწაზე თამაში, სხვანაირად — რაქი, და ამ ტაქტიკური სიახლით ყველა გუნდთან მოიპოვეს უპირატესობა. ამას ემატება მორკინალთა სისწრაფე და აგრესიულობა, აგრეთვე, სამმეოთხედელთა ტექნიკური მოქმედება.

ერთი შეხედვით, „ოლ ბლექსის“ თამაშის სიუჟეტი მარტივია: მორკინალები გამუდმებით მოძრაობენ, პირველივე კონტაქტის ან დაჯახების შემდეგ ბურთი იდება მიწაზე, დროულად ეწყობა რაქი და შერკინების ნახევარმცველის ზუსტი გადაცემის შემდეგ სამმეოთხედელებს ეძლევათ შეტევის შესაძლებლობა. თითქოს ძალიან ადვილია, მაგრამ ეს ყველაფერი „ერთი ამოსუნთქვით“ ხდება და გაოგნებულ მეტოქეს ძალიან უჭირს თავის დაცვა.

„შავფორმიანი დიდოსტატები“, „მოიერიშე რაზმი“, „უძლეველი გმირები“... ვინ იცის კიდევ რა ეპითეტებით ამკობენ რაგბის ექსპერტები და მიმომხილველები ახალი ზელანდიის ნაკრებს, რომლის ოფიციალური სპონსორი, ცნობილი ლუდის მწარმოებელი ფირმა „სთეინლაგერი“, ყველანაირ პირობას უქმნის გუნდს.

1986 წლის ნოემბერს ნანტში საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის შემდეგ, „ოლ ბლექსმა“ 22 ტესტ-მატჩი გამართა, რომელთაგან ერთი ფრედ დამთავრდა (ავსტრალიასთან), ხოლო დანარჩენი ახალზელანდიელებმა მოიგეს. ეს მართლაც უნიკალური შედეგია. ამ თამაშებს განეკუთვნება 1987 წლის მსოფლიო თასის პირველი გათამაშების ექვსი მატჩი, რომლებშიც ახალზელანდიელებმა დაუნდობლად დაამარცხეს ყველა მეტოქე და ცალი ხელით მოიგეს საპატიო ჯილდო. გუნდის გამარჯვებების სერია არც შემდგომში შეწყვეტილა. მის კულმინაციად შეიძლება მივიჩნიოთ „ოლ ბლექსის“ შარშანდელი ტურნე უელსსა და ირლანდიაში. თორმეტ შეხვედრაში, რომელთაგანაც ორი ტესტი იყო (უელსთან და ირლანდიასთან), სტუმრებმა ყველაში იმარჯვეს, ხოლო ბოლო თამაშში, თვიქნემში სძლიეს „ბრიტანელ ბარბაროსებს“. ტურნეს შემდეგ ბრიტანული პრესა წერდა: „შავმა გრიგალმა“ წალეკა ბრიტანეთის მოედნები და სამხრეთ ნახევარსფეროში გაემგზავრა“.

მაინც ვინ იცავს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ღირსებას?

გუნდის მწვრთნელია სარაგბო სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნება ალექს „გრიზ“ ვალი. იგი მესამე წელიწადია უდგას ნაკრებს სათავეში და უკვე მომავალ მსოფლიო თასზე ფიქრობს. „ბუზღუნა ჯენტლმენი“, როგორც ხშირად უწოდებენ მას, დიქტატორი როდია. იგი საკმაო გასაქანს აძლევს თანაშემწეებს, მაგრამ, როცა საბოლოო არჩევანის დრო დგება, მისი გადაწყვეტილება შეუვალია.

„ვალის ბიჭები“ წლევანდელ მაისამდე საკმაოდ სტაბილური შემადგენლობით თამაშობდნენ. შემდეგ გუნდში მოხდა გაუთვალისწინებელი ცვლილებები, რამაც ბევრი საფიქრალი გაუჩინა მწვრთნელებს.

პირველ ყოვლისა, პროფესიულ რაგბიში გადავიდა მსოფლიოს უძლიერესი მცველი ჯონ გლაჰერი, მისი სრულფასოვანი შემცვლელის მონახვა ძალიან ძნელია, მაგრამ გამოცდილმა ქირენ ქრაულიმ ბოლო თამაშებში ღირსეულად შეცვალა „გვირგვინის ბრილიანტი“.

„ოლ ბლექსს“ ჰყავს გამორჩეულად ძლიერი გარემარბები —საოცარი ფიზიკური მონაცემების მქონე ჯონ ქირვანი და მოქნილი თერი რაითი. ამ ადგილის გამო ვალი მშვიდად შეიძლება იყოს, რაკი საიმედო რეზერვიც ჰყავს: 21 წლის ქრეიგ ინესი ჩამოყალიბებული მებრძოლია.

შუამარბ ჯონ შუსთერის პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ მის „კოლეგას“ ჯო სთენლის მონაცვლეობით ეხმარებიან უოლთერ ლითლი და ბერნი მაქ-ქეჰილი. მათ გარდა არის მთელი წყება ახალგაზრდა მორაგბეებისა, რომლებსაც ალბათ მალე მოუწევთ სიძლიერის დამტკიცება.

ნახევარდაცვაში ნაყოფიერად მოქმედებს „გუნდის ტვინი“ გრანთ ფოქსი. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი კვლავ ჩინებულ ფორმაშია და ფეხით ისევე შედეგიანად თამაშობს, როგორც გასულ წლებში. დეივ ქირქის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ შერკინების ნახევარმცველის ადგილი დაიკავა გრემ ბაშოფმა, რომელმაც წარმატებით გააგრძელა „დიდი წინაპრის“ ტრადიცია.

ახალზელანდიელთა უძლიერესი რგოლია შერკინება. მისი პირველი ხაზის მოთამაშეები შიშის ზარს სცემენ მეტოქეს აგრესიული სათამაშო სტილით. მართლაც, ძნელია შეეტოქო ბურჯებს — სთივ მაქდოუელსა და რიჩარდ ლოუს, აგრეთვე ჰუქერ შონ ფითსფათრიქს.

მეორე ხაზში იშვიათი თავდადებით თამაშობს ვეტერანი გერი ვეთონი. ახალბედა იან ჯოუნზმაც მალე აუღო ალღო გუნდის თამაშის სტილს და წარმატებით შეცვალა რაგბთან გამოთხოვებული მარი ფირსი. დროგამოშვებით მათ ეხმარებიან ალბერთ ენდერსონი და გრემ ფერვისი.

შერკინების მესამე ხაზში კი ასეთი „გრძელი სკამი“ არავისა ჰყავს. მოკლე ფრთაზე თამაშობს ალან ვეთონი (გ. ვეთონის ძმა), ხოლო გრძელ ფრთაზე ერთიმეორეს ენაცვლებიან მაიქლ ჯოუნზი და მაიქ ბრუერი. ორივე თანაბრად ძლიერია, ასე რომ არჩევანი ერთობ ძნელია.

შერკინებას ჰკრავს მისი თავკაცი და იმავდროულად გუნდის კაპიტანი უეინ შელფორდი, რომლის შეტევების შეჩერება ნებისმიერი მეტოქისთვის პრობლემას წარმოადგენს. „უფროს კოლეგას“ წარმატებით უბამენ მხარს შემცვლელები: ენდი ერლი, ქევინ შულერი და ზინზან ბრუქი.

ამჟამად „ოლ ბლექსი“ გულმოდგინედ ემზადება მომავალი შეხვედრებისთვის. როგორც ჩანს, იგი არ აპირებს მსოფლიო თასის მომდევნო გათამაშებაში ტიტულის დათმობას. ყოველ შემთხვევაში, მისი ბოლოდროინდელი თავბრუდამხვევი წარმატებები ამას გვაფიქრებინებს.

**მერაბ რატიშვილი**

**რედაქტორის მაგიერ**
**თ. მიგრიაული**

## სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმო გაცნობებთ, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებასთან დაკავშირებით რესპუბლიკურ საწარმოში არ შემოსულა 30-ე ტირაჟის ბილეთების „ბ“ „ვ“ ნაწილები შემდეგი ქალაქებიდან: საჩხერე, ჭიათურა, მარტვილი, ხულო, შუახევი, ქედა. ამ ქალაქებიდან გამოგზავნილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებენ იმ ტირაჟში, რომლისთვისაც ისინი შემოვლენ საწარმოში.

ბილეთების მიღებისა და იმ ტირაჟის ნომერს, რომელშიც ისინი მიიღებენ მონაწილეობას, გაცნობებთ დამატებით.

**საქსპორტლოტო.**

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს შალვა ქურციკიძეს შვილის

**შოთა ქურციკიძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:**
66435

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.

უე 00356